

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტია“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

15 აპრილი, 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

მეორე მხრივ, შპს „ენერგო ინვესტი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404455898 (შემდგომ „კომპანია“), ს/კ 404455898, წარმოდგენილი დირექტორის, კახა კობაიძის მიერ და

მესამე მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომ „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოვაძის მიერ,

შემდგომ მთავრობა, კომპანია და ესკო ერთობლივად იწოდებიან როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე როგორც „მხარე“

ვინაიდან:

- მხარეთა შორის 2015 წლის 31 მარტს დაიდო ურთიერთგაების მემორანდუმი (შემდგომ „მემორანდუმი“) და მხარეები დღემდე ხელმძღვანელობენ მემორანდუმის პირობებით;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N261 განკარგულების საფუძველზე, კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკის დარღვევის გამო, გამოთხოვილ იქნა კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტია საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ სრული ოდენობით;
- ზემოაღნიშნული განკარგულებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დაევალა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების გაგრძელების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება კომპანიასთან;
- მხარეებს სურთ შეიტანონ ცვლილებები მემორანდუმის დანართით N2 და N3 გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის, ასევე საჯარო განხილვის შედეგების წარდგენისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვებისა და სამშენებლო სამუშაოების დაწყების თარიღი;

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-6 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომპანიის მერე წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვეში მთავრობამ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ გარემოზე ზემოქმედბის შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს. თუ მთავრობის გადაწყვეტილება დადებითია, ძირითადი მხარეები მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს დარჩენილი წინასამშენებლო გარანტია 30 დღის განმავლობაში.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის დანართით N2 და N3 განსაზღვრული გრაფიკი და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართის N1 და N2 სახით.
3. კომპანია ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში წარმოდგინოს წინასამშენებლო გარანტია 23,000.00 აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენლი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 2 თვით უნდა აღემატებოდეს სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს.
4. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები ძალაში შედის შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, ხოლო სხვა მუხლები ძალაში შევა კომპანიის მიერ ამ შეთანხმების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდგომ.
6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
7. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ენერგო ინვესტი“

კახა ჭობაიძე

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N1

დანართი 2

	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან		
	3	6	14
განსახორციელებელი სამუშაოები			
ადგილმდებარებისა და მირითადი პარამეტრების განმარტებები	x		
ტოპოგრაფიული კვლევა და რეკვების მომზადება	x		
გეოლოგია, გეოფიზიკა	x	x	
სეისმური რისკის ანალიზი	x		
სამშენებლო მასალების კვლევა	x		
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები	x	x	
ჰიდროლიკური კვლევები	x	x	
ალტერანტიული ანალიზი		x	
ტექნიკური დიზაინი		x	
ინფრასტრუქტურა		x	
ელექტროენერგიის გენერაცია და გამოყენება		x	
გადამცემ სისტემასთან დაკავშირება		x	
ეკოლოგია		x	
სამუშაოების მოღულობის უწყისი	x	x	
შენებლობის ორგანიზირება	x	x	
ეკონომიკური ანალიზი		x	
ფინანსური ანალიზი		x	
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა		x	
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი		x	
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა		x	
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა			x
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა			x
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა			x

დანართი N2

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	მშენებლობის წებართვის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების დაწყების თარიღი - 6 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	დასასრული
მემორანდუმი ს ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულ ების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულ ების ხელმოწერის თარიღი	ექსპლუატაც იაში მიღება	
16 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		18 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		



## საქართველოს მთავრობის განეარჩულება

№595 2016 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტის“ და  
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის  
— 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტის“  
და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის  
2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და  
საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად,  
შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს  
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

ავთა



გიორგი კვირიკაშვილი



ელექტრონურგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბაზრის მუნიციპალიტეტის ქ. 2  
ტელეფონი: +995 32 2401420; ფაქსი: +995 32 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/374  
25/03/2016

374-01-2-201603251230



თანხმობა ხელმოსაწერი  
ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე  
შეთანხმების პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონი ირაკლი ხმალაძეს

ბატონი ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 23 მარტის #04/1034 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტსა“ და სს „ელექტრონურგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვაბტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE - WWW.ESCO.GE

სს „ელექტრონურგეტიკული სისტემის კომისიის ინსპექტორი“  
დაცვის სამინისტროს შენიშვნის მიხედვით შეიქმნა 07.08.2006, საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010195687931016

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გოგასალის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 ა, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2013

28 / მარტი / 2016 წ.

W1837

საქართველოს ენერგეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ზაქონ. ირაკლი ხმალაძეს

შპტომო. ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 23 მარტის №04/1029 წერილით  
წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის, შპს „ენერგო ინვესტსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის  
კომერციულ მმერაცონის“ შორის 2015 წლის 31 მარტს დადგინდულ ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროცესი, რომელთან დაკავშირდებით გაცნობებით, რომ ცვლილებების  
თანამდებობულად განხორციელების მიზნით შეთანხმების პროცესის შე-2 შესხვა საქიროებს კირქვით მიმდინარეობს.  
კურძოდ, სსენებულ მუხლში არსებული ჩითათება პირველ და შე-2 მუხლებზე უნდა შეიცვალოს შითითებით  
შე-3 შესხვა: „მხარეები თანხმდებან, რომ წილადებარე შეთანხმების შე-3, შე-5, შე-6 და შე-7 შესლები მაღაში  
შედის...“.

პატივისცემით,

ვ. ლამაზაძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

## ამონანერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16041111, 15/03/2016 14:51:51

### სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ენერგო ინვესტი
სამართლებრივი ფორმა:	შემთხუელი პასუხისმგებლობის სამოვალება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404455898
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	24/09/2013
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი ქ. ნამებული/ბოჭორმის ქ., N50/18, ბინა N125
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	avanhpp@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომნოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

### ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01024039456, კახა კობაიძე

### პარტნიორები

მესაკუთრე	ნილი	ნილის მმართველი
45001003133, EX627584, 19780901-00135, დავით ხახუტაშვილი, უკრაინა	100.000000000%	

### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

## გირავნობა

რეგისტრირებული არ არის  
ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

### საგადასახალო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებები გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჭარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონანერის შიღება შესაძლებელია ეებ-გეერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტომატებულ პირებთან;
  - ამონანერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვივავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის შიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჭარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირდით მოგვნერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)